ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვერს გული„

14 - 27 თებერვალი 2014 წელი №3 № 8061 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

ქალაქში ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება გვ2.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2014 წელს, სოციალური დახმარებისათვის გამოყოფილია 150 000 ლარი გვ2.

ბინები დევნილი მოსახლეობისათვის გვ3.

დიდთოვლობის გამო შეფერხებული მოძრაობა აღდგენილია გვ2.

თანადგომა მარტოხელა და გაჭირვებულ ადამიანებს გვ3.

ქართულ – სალხურ დღეობათა ზამთრის ციკლი გვ4.



... "და სიყვარულთან თამაში სასტიკად აკრძალულია!" გვ5.

რაღომ არ შეიძლება არსებობდეს მამების დღე? გვ4.

პათეტიკური და დამღლელი ერთად ყოფნის სიხარული გვ6.

მოულოდნელი თუ აუხსნელი? გვ3.

წიგნები ერთი ლარიდან

25-26 თებერვალს კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართება წიგნების გამოფენა-გაყიდვა.

გამომცემლობა პალიტრა L-ის პოპულარული სერიები აქციის ფასებში.

80 წელია ჩვენი გაზეთი იწერს, აგროვებს, ინახავს რაიონის ისტორიას, ხარჯს არ უხდის ყვითელ პრესას, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეულამაზებელ მატიანეს...

ახალი განთიადი 80 წელი თქვენც გვერდით!

გამოიწერეთ „ახალი განთიადი„!

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2014 წელს, სოციალური დახმარებისათვის გამოყოფილია 150 000 ლარი

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოსახლეობის სოციალურ დახმარებაზე 149 807,98 ლარი დახარჯა. თანხა მოხმარდა სხვადასხვა ნოზოლოგიების დაფინანსებასა და დახმარებას. კერძოდ:

ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება - 17 მოქალაქე - 13 959,11 ლარი;

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება საკეისრო ოპერაციების და ფიზიოლოგიური მშობიარობა - 4 მოქალაქე - 1 600 ლარი;

მოსახლეობის სამედიცინო დახმარება გადაუდებელი სტაციონარული (მათ შორის დღის სტაციონარი) მკურნალობა - 35 მოქალაქე - 36 248,73 ლარი;

კომპიუტერული ტომოგრაფიისა და ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული (მრტ) გამოკვლევა - 33 მოქალაქე - 8 879 ლარი;

უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 56 მოქალაქე - 6 273,59 ლარი;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება - 22 მოქალაქე – 2 200 ლარი;

მესამე და მომდევნო შვილის შეძენა - 42 მოქალაქე -12 600 ლარი;

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება - 54 მოქალაქე - 23 700,00 ლარი;

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისათვის ერთჯერადი სოციალური დახმარება - 40 მოქალაქე - 4 000 ლარი;

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების დახმარება - 5 მოქალაქე - 3 100 ლარი;

სააღდგომოდ სურსათით დახმარების პროგრამა,კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხსა და სოფელ თელიანში კომპაქტურად ჩასახლებულ და 1991-1993 წლებში იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს - 160 ოჯახი - 11 200 ლარი;

სპორტსმენებისა და სტუდენტების დახმარება - 16 მოქალაქე - 8 000 ლარი;

ხანძრებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ოჯახის დახმარება – 11 მოქალაქე - 12 098 ლარი;

მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება -13 მოქალაქე - 3 250 ლარი;

ღვაწლმოსილ მოქალაქეთა დახმარება - 4 მოქალაქე - 1 200 ლარი.

2014 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებისათვის გამოყოფილია 150 000 ლარი.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

გამოიწერეთ „ახალი გზა“

პროექტის პრეზენტაცია

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობის, ქალაქის ტერიტორიული ორგანოს და შპს "კასპის კეთილმოწყობი"-ს თანამშრომლებისთვის გაიმართა პროექტის "დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესი"-ს პრეზენტაცია.

ნარჩენების მართვის საერთაშორისო გამოცდილების, ნარჩენების მართვის დაგეგმვის და ნარჩენების საქართველოში მართვის შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორმა, ნარჩენების მართვის ექსპერტმა ხათუნა ჩიკვილაძემ. გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემების და დაბინძურებული გარემოს ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების საკითხზე, აუდიტორიას ესაუბრა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, გარემოს მონიტორინგის ექსპერტი ნუგზარ ბუაჩიძე.

დისკუსია გაიმართა მუნიციპალური და მყარი ნარჩენების მართვის და თანამედროვე სისტემების, ევროპული მოდელის, განვითარებული ქვეყნების გამოცდილება რეციკლირების, ნარჩენების შემცირება-კომპოსტირების,შიდა ქართლის რეგიონის განვითარების /2014-2021 წწ/ სტრატეგიის, საზოგადოების ჩართულობა ნარჩენების მართვის და სხვა საკითხების შესახებ. კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ავთანდილ გოგიაშვილმა და კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა მადლობა გადაუხადეს პროექტის პრეზენტაციის ხელმძღვანელებს.

პროექტის ფარგლებში ისინი შეთანხმდნენ თანამშრომლობის გეგმაზე.

ქალაქში ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

ქალაქის ინფრასტრუქტურას კიდევ ერთი დასასვენებელი სკვერი შეემატება, რომელიც ქალაქის ცენტრში, რკინიგზის ზოლის გასწვრივ ეწყობა.

პროექტის თანახმად უკვე შემოღობილია და მოსწორებულია ადგილი, სადაც დაწყებულია ფილების დაგება, მომზადებულია საფეხმავლოები და ბორდიურები, საფეხმავლო ბილიკის ლითონის ღობეზე დამაგრდება დეკორატიული ელემენტები, გაკეთდება ჩამოსასვლელი კიბეები და პანდუსები, სასმელი წყლის ფანტანი, გარეგანათება, დეკორატიული სკამები, დამონტაჟდება ნაგვის

ურნები, ლითონის კონსტრუქციები შეიღებება ზეთოვანი საღებავით, მწვანე საფარისათვის კი დაითესება კოინდარი. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ ბავშვებისათვის დამონტაჟდება მრავალფუნქციური საბავშვო ატრაქციონი "აიწონა-დაიწონა" და "საქანელა".

კეთილმოწყობილი, ახალი სკვერი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ბავშვების დასვენების და გართობის ადგილად იქცევა, ასევე გაალამაზებს ქალაქის ცენტრს - აღნიშნა სკვერის სამუშაოების დათვალიერებისას კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა. სკვერის მოწყობის სამუშაოებს ი/მ ვალერიან ხუბერაშვილი აწარმოებს (სამუშაოების ღირებულება 56 687 ლარია).

დიდთოვლობის გამო შეფერხებული მოძრაობა აღდგენილია

კასპის მუნიციპალიტეტის კოდისწყაროს ტერიტორიულ ორგანოს 8 სოფელში დიდთოვლობამ საავტომობილო ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილების პრობლემა შექმნა.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ პრობლემის გამოსწორების მიზნით, გზის გაწმენდითი სამუშაოები შპს "კასპის კეთილმოწყობა"-ს (დირექტორი ე. გეჯაძე) დაავალა. შპს "კასპის კეთილმოწყობა"-მ 8 სოფლის: კოდისწყარო, სარიბარი, ზემო რენე, ქვემო რენე, ზადიაანთ კარი, ყარაფილა, ნიგოზა და ჩობალაურის მისასვლელი და შიდა სასოფლო გზები თოვლისგან გაათავისუფლა. მოძრაობა აღდგენილია.

გ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?

გ ი ნ დ ა თ, გაიგოთ ეროსტავთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?

გ ი ნ დ ა თ თვალი ადევნოთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?

გამოიწერეთ "ახალი გზა" და გახდით ჩვენი მკითხველი!

მკითხველს შეუძლია მოგვაწოდოს შემეცნებითი-გასართობი მასალები, ხავერდორო კროსვორდები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე – კასპი, ხაკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

2013 წელს კასპში დაიბადა

შ.პ.ს. "მედალფა" (კასპის სამედიცინო ცენტრი)

*** გაგრძელება**

ლიზი ავაზნელი (კასპი),
დავით ჩოხელი (ახალქალაქი),
ნინო შარიფაშვილი (ქვემო გომი),
დეა ასლამაზიშვილი (ახალქალაქი),
თემურ თედელური (კასპი),
ანასტასია მერებაშვილი (კასპი),
ანანო ჩხუტიაშვილი (ოჩამჩირე),
ნიკოლოზ ლაფერაშვილი (ბარნაბიაანთ კარი),
ნიკოლოზ სიბოშვილი (ქვემო გომი),
სოფია აზმაიფარაშვილი (ქვემო გომი),
მარიამ კაციაშვილი (კავთისხევი),
თამუნა ისმაილოვი (კასპი),
ბარბარე ბერიანიძე (კასპი),
ელიფ აბდიევა (მიქელწყარო),
ისმაილ იბრაგიმოვი (საქადაგიანო),
ლანა სილაგაძე (თბილისი),
დათა ხანოიანი (კასპი),
ანა გორცვაძე (კასპი),
დემეტრე ბაშარული (კასპი),
ლუკა ალავერდოვი (მცხეთა, მუხრანი),
დავით ხუროშვილი (კავთისხევი),
ნიკოლოზ ქარქუსაშვილი (კასპი),
ბარბარე მამულაშვილი (ქვემო გომი),
ანასტასია ზარნაძე (ქვემო ჩოჩეთი),
ნანიკო ბერიანიძე (კასპი),
გიგლა გოზალიშვილი (ცხინვალი, გროწლეთი),
ლიზი თეზელაშვილი (კასპი),
გიორგი შახნაზაროვი (გორი, მეჯვრის ხევი),
ციკო მამაცაშვილი (გორი),
ნათია აბრამიშვილი (ხობი, საჯიჯაო),
მარიამ ტატუნაშვილი (ახალგორი, ყანჩავეთი),
ელენე ჩაფიძე (ოკამი),
პაატა სვანიშვილი (ახალციხე),
ელენე გორგაძე (ქუთაისი),
მარიამ მჭედლიშვილი (ხაშური),
ნატალია ნონიაშვილი (კასპი),
ლუკა კიბილოვი (მცხეთა, ქანდა),
ნანიკო ხეჩიკაშვილი (მეტეხი),
მათე შუკაკიშვილი (კასპი),
ლიზი ნახუცრიშვილი (კასპი),
ანასტასია მიგრიაული (ლაგოდეხი),
მერაბ ავჯიაშვილი (კასპი),
ალი ორიჯოვი (ფერმა),
ქეთი ნიპარიშვილი (კასპი),
თომა ყაზარაშვილი (კასპი),
ნიკოლოზ მამიაშვილი (დოესი),
ნიკოლოზ ცუცქირიძე (ხოვლე),
სალომე ქოქაშვილი (კასპი),
ლუკა ბერბიჭაშვილი (წინარეხი),
გიორგი ჭიღლაძე (ატენი),
მარიამ ბეინაშვილი (ლამისყანა),
ელენე ტატანაშვილი (მეტეხი),
ნინო სიდამონიძე (მეტეხი),
მარიამ შარიფაშვილი (მეტეხი),
ალექსანდრე მწითურიძე (კასპი),
ალი ბაირამოვი (ხიდისყური),
ქეთევან ქოქაშვილი (კასპი),
ნანუკა სადაღაშვილი (დოესი),
ანდრეა კუსრაშვილი (დოესი),
მარიამ პატარქალაშვილი (თელიანი),
ნიტა თაბუაშვილი (დოესი),
მარიამ შაქარაშვილი (მეტეხი),
ანამარია ჯონჯუა (ჭიათურა, ნიგოზეთი),
დავით ვაშაკიძე (მეტეხი),
ქრისტინე სტეფანიანი (მეტეხი),
არიფ თოფჩიევი (ფერმა),
გიორგი კერესელიძე (ქვემო ჩოჩეთი),
ელენე თინიკაშვილი (კასპი),
მარიამ ბალიაშვილი (კასპი),
ნანუკა გამხიტაშვილი (ბოჟამი),

*** გაგრძელება. დასაწყისი "ახალი განთიადი" №2. 2014 წელი**

თანადგომა მარტოხელა და გაჭირვებულ ადამიანებს

ქალაქ კასპში მცხოვრებ მარტოხელა, მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ 9 ოჯახს, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და კასპის ტერიტორიულმა ორგანომ საწვავი შეშა გადასცა.

ყინვებმა მოსახლეობას პრობლემები შეუქმნა. ეს პრობლემები განსაკუთრებით რთულად მოსაგვარებელია მარტოხელა, სოციალურად დაუცველი, გაჭირვებული და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის. ამიტომ გადავწყვიტეთ მათთვის დროებითი დახმარება მაინც გაგვეწია. ამჯერად 9 ოჯახის დახმარება შევძელით, შესაძლებლობიდან გამომდინარე პროცესს მომავალშიც გავაგრძელებთ - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

დახმარებაგაწეული ოჯახის წევრებმა, გოჩა გოჩიტაშვილს და სანდრო გზირიშვილს მადლობა გადაუხადეს.

ბინები დევნილი მოსახლეობისათვის

კასპის მუნიციპალიტეტის საავადმყოფოს ყოფილ შენობაში, ორი კვირაა შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოები მიმდინარეობს. სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული სს "ტრანსმშენი" ახორციელებს, რომელიც ბინებს დევნილი ოჯახებისთვის ამზადებს. როგორც მშენებლობის უბნის უფროსმა, გივი თევდორაძემ განაცხადა სამუშაოები სექტემბრის თვეში დასრულდება და 128 დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდება. სამუშაოებზე დასაქმებულთა 98% ადგილობრივი მოსახლეობაა.

სამუშაოების მიმდინარეობა კასპის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა, სანდრო გზირიშვილმა დაათვალიერა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

მოულოდნელი თუ აუხსნელი?

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეცეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნახახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ უოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვწოდოთ ამ მოვლენის ამსახველი მასალა. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი,,. საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ ,,ფენომენს,, და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებასა თუ კომენტარებს.

რატომ არ შეიძლება არსებობდეს მამების დღე?

სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობაზე ორიენტირებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მრავალფეროვან, შემოქმედებით პროექტებს ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. სწორედ ამის ნათელი მაგალითი იყო გასული წლის ბოლოს / 23-25 დეკემბერს/ ჩაქვში, სასტუმრო "ოაზისში" გამართული პირველი ეროვნული კონფერენცია თემაზე: "საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში." საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ხსენებული კონფერენციის მუშაობაში კასპის რაიონის სოფელ დოესის საჯარო სკოლის დანყებითი კლასების მასწავლებელი ლალი თაბუაშვილი იღებდა მონაწილეობას და მის მიერ წარდგენილმა პროექტმა – "მიყვარხარ, დედის გულს გეფიცები, ჩემო კეთილო მამა" განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. უფრო მეტიც, წარდგენილი ნამუშევრისათვის მას სერტიფიკატი გადაეცა. აი, სწორედ ამ საკითხებზე თავად მოგვითხრობს კონფერენციის მონაწილე დოესელი პედაგოგი ლალი თაბუაშვილი:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა პედაგოგებისათვის ორდღიანი კონფერენცია ჩაატარა სახელწოდებით: "საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში." კონფერენციაზე გამოსულმა დარგის სპეციალისტებმა ამომწურავად გაგვაცნეს სკოლებში საგნების სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ამის შემდეგ კონფერენციის მონაწილეებისათვის გამოცხადდა კონკურსი და საგნობრივმა კონსულტანტებმა შემოსული 500 განაცხადიდან 107 საუკეთესო მოხსენება შეარჩიეს, მათ შორის იყო ჩემი პროექტიც, სადაც მთავარი ყურადღება აქვს დათმობილი საზოგადოების, /თემის/ მშობლების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში...

30 წლიანმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ ნათლად დამარწმუნა იმაში, რომ ჩვენი შვილების აღზრდის საქმეში ბევრი რამ მოუგვარებელია, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულზე ზრუნავს სკოლა, ოჯახი, საზოგადოება. პრაქტიკით ირკვევა, ამ სამ რგოლს შორის ვერა და ვერ ჩამოყალიბდა სათანადო, შეთანხმებული და უფრო მეტად საქმიანი, გნებავთ შედეგიანი, ურთიერთობა. ერთ რამეშიც დავრწმუნდი, არსებობს მამების პრობლემა. ისინი საერთოდ არ მოდიან სკოლაში, არ იცნობენ შვილების მასწავლებლებს, შვილის მეგობრებსა და მათ ოჯახებს, საერთოდ არ აინტერესებთ, თუ რა უნარსა და შესაძლებლობებს ფლობენ მათი შვილები. ცალსახად შეიძლება იმის თქმაც, რომ მამები ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ოჯახური კონფლიქტები შვილების სულიერ მდგომარეობაზე.

აი, სწორედ ამ თემის გათვალისწინებით გაჯერებული ჩემს მიერ კონფერენციაზე წარდგენილი პროექტი სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა. პროექტის (კონკრეტული, რეალური მაგალითებით) ორიგინალურობა გამოიხატებოდა იმაშიც, რომ აქ გაჟღერდა მამების დღის დაარსების იდეა, რომელიც კონფერენციის ბევრმა მონაწილემ მოიწონა და გაიზიარა.

რა თქმა უნდა, გვაქვს უამრავი ლამაზი დღესასწაული – დედის, მასწავლებლის, სიყვარულის დღე და რატომ არ შეიძლება არსებობდეს მამების დღე?

ყველამ კარგად ვიცით რომ, როგორი ღირსეულიც არ უნდა იყოს მოზარდი, თუ გნებავთ მოზრდილი ყმაწვილი კაცი, ძნელად მოახერხებს დამოუკიდებლად წინსვლას, ამისათვის მას, პირველ რიგში მამის სახით, სურსავით სჭირდება მტკიცე დასაყრდენი. ამიტომაც არის აუცილებელი და საჭირო მამების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. ჩვენი ვალია დავარწმუნოთ ისინი, რომ სკოლაში შექმნილია მყუდრო, საქმიანი გარემო და ისინი დარწმუნდებიან ერთ ჭეშმარიტებაში, რომ მამობა არის ღირსება კაცისა, დიახ, ეს გახლავთ ყველაზე ძვირფასი მემკვიდრეობა, რაც შეიძლება შვილებს დაუტოვონ.

ამდენად, დასკვნის სახით შემიძლია გითხრათ ის, რომ პირადად ჩემთვის და ალბათ, სხვებიც დამეთანხმებიან, კონფერენციაში მონაწილეობა იყო ძალიან საინტერესო და ამავე დროს ნაყოფიერი. თანაც მასწავლებლებს საშუალება მიეცათ ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ საკუთარი გამოცდილება. ისე რომ, კონფერენციაზე განხილული პროექტები მასწავლებლებს დაეხმარებათ სასკოლო და საგაკვეთილო პროცესის უკეთ წარმართვაში, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

ქართულ – ხალხურ დღეობათა ზამთრის ციკლი

ქართულ-ხალხურ დღეობათა კალენდრისათვის დამახასიათებელია მრავალფეროვნება. მასში თავმოყრილია დღესასწაულები და სამზადისი ამ დღესასწაულების შესახვედრად: ცრუმორწმუნეობითი აღკვეთები, მაგიური რიტუალები, მარხვები, საერო ტრაპეზები, მკითხაობა, წინასწარმეტყველება და სხვ.

ჩვევების, რწმენისა და სხვადასხვა ქმედების ამგვარი "ხლართის" გასახსნელად ეთნოგრაფები გარკვეული წესრიგის დამყარებას სხვადასხვა კლასიფიკაციათა მეშვეობით ცდილობდნენ, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულ (მაგრამ ამავე დროს პირობით) კლასიფიკაციას წარმოადგენს დღეობათა დაყოფა წელიწადის დროთა მიხედვით – ზამთრის, გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის ციკლებად.

არსებობს ისტორიულ–ფუნქციონალური კლასიფიკაციაც, რომელიც თანდათანობით, ერთმანეთის მიყოლებით იღებს ისტორიულ დანაშრევებს და ეძებს ხალხურ კალენდარულ რთულ კომპლექსში თავდაპირველ ბირთვს. ამ მეთოდის მეშვეობით ისტორიულად და ფუნქციონალურად განისაზღვრება რელიგიური რწმენისა და რიტუალების ადგილი კალენდარული ციკლის წეს–ჩვეულებებში.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ქართულ ტრადიციაში ხალხურ დღეობათა ზამთრის ციკლი ზამთრის მზის ბუნიობასთანაა დაკავშირებული და წელიწადის დასაწყისადაა მიჩნეული, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი წელი საქართველოში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა თვეში იწყებოდა. წარმართული საქართველო ახალი წლის ათვლას აგვისტოთი იწყებდა. ქრისტიანობამ ბიზანტიიდან შემოიტანა სექტემბრის ანუ ინდიქტური წელი, რომლის ადგილს IX საუკუნეში მარტი იკავებს, X საუკუნეში შემოდის და XI საუკუნეში ფეხს იკიდებს იანვარი. თუმცა XI საუკუნიდან თანაარსებობდა საერო (1 სექტემბერი) და საეკლესიო (1 იანვარი) წელთა აღრიცხვა. XVII საუკუნეში რუსეთის ეკლესიის გავლენით ახალი წლის დასაწყისად საყოველთაოდ იქნა მიღებული პირველი იანვარი.

ქართულ–ხალხურ დღეობათა ზამთრის ციკლს მიეძღვნა ა(ა)იპ კასპის ბიბლიოთეკის ღონისძიება, რომელიც 30 იანვარს ჩატარდა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. ღონისძიებას ესწრებოდნენ ბიბლიოთეკის ერთგული მკითხველები, მოსწავლე-ახალგაზრდობა. ღონისძიების თემა გახლდათ სარიტუალო–შემეცნებითი კითხვა – "როგორ ხვდებოდნენ ახალ წელს საქართველოში?"

შეხვედრაზე ნამუშევრები წაიკითხეს ა(ა)იპ კასპის ბიბლიოთეკის სპეციალისტებმა.

ბარბარობა /მომხს. მაია აბუაშვილი/ - ბარბარობა ქართულ ტრადიციაში დღესასწაულების თავად, დასაწყისადაა მიჩნეული. რწმენის მიხედვით, რა დღესაც ბარბარობა მოდის, იმ დღეს ემთხვევა ახალი წელიც. ამ დღეს განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ საქართველოს ყველა კუთხეში, იცოდნენ მეკვლეობა.

იანაშ /მომხს.: ეთერ ნიპარიშვილი/ - იანაში დასავლეთ საქართველოში ტერიტორიული თვალსაზრისით ვიწრო, შეზღუდული დღეობაა. იანაშ / იანობ სვანურ დღეობათა კალენდარში სხვა ორ დღესთან ერთად /ჭკვდობ და ლიჭშდვარ/ ქმნიდა პერიოდს ახალი წლის დღეობათა ციკლში, რომელსაც / ჩუბახევური მასალის საფუძველზე/ იენიშერი ეწოდებოდა. ყველა ეს დღე გაერთიანებული იყო საერთო რიტუალით და თაყვანისცემის ერთი და იმავე პერსონაჟით – იანით, რომელსაც ლოცავდნენ და შეწირულ კვერებს უცხობდნენ. იანი გაიგივებულია მართალ ანასთან /იესო ქრისტეს ბებია/ და იენიშერი მისადმი მიძღვნილი დღეობაა.

შობა /მომხს.: მაია ქესაური/ - შობის საღამოსა და შობას, როგორც ახალი წლის დასაწყისს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და იგი დატვირთული იყო მრავალფეროვანი მაგიური ხასიათის წეს-ჩვეულებებით, რომლებიც მიმართული იყო ნაყოფიერების გასაზრდელად, ჯანმრთელობის გასამტკიცებლად, ავი სულების დასაძლევად და კეთილდღეობით სავსე მომავლის უზრუნველსაყოფად. შობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა რიტუალის თანხლებით ხვდებოდნენ.

სტეფნობა /მომხს.: ხათუნა ბახუაშვილი/ - კახეთში ქართული ეკლესია შობის მესამე დღეს მოიხსენიებდა წმ. მოციქულსა და დიაკონს სტეფანეს – ნასწავლ, საღმრთო საქმეზე თავდადებულ წმინდა კაცს. ეს დღესასწაული იმართებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც.

ახალი წელი /მომხს.: ლია მენაბდიშვილი/ - ამ თემაში თავმოყრილია თუ როგორ ხვდებოდნენ ახალ წელს საქართველოს ყველა კუთხეში.

ნათლისღება; ნინოობა /მომხს.: ეკა დალაქიშვილი/ - ზამთრის დღეობათა ციკლის დამამთავრებელი დღესასწაულებია. ნათლისღებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული რიტუალები სრულდებოდა, გამაერთიანებელი ჩვეულება ყველა კუთხისათვის გახლდათ წყალკურთხევა. ნინოობით, რომელიც ეძღვნებოდა წმ. ნინოს, საქართველოში ქრისტიანო

* დასასრული მე-6 გვ.

უგონო სიყვარული – მანია

✦ მაშ ასე, ეს არის ვნებებისა და ეჭვიანობისაგან შემდგარი გრძნობა, რომლითაც მამაკაცი ისეა შეპყრობილი, როგორც სიგიჟით. ამგვარად შეყვარებული მამაკაცის ყურადღება ქალზე კი არა, საკუთარ ვნებებსა და განცდებზეა კონცენტრირებული. ასეთი მამაკაცი ქალის ხარჯზე თვითდამკვიდრებას ცდილობს და ქვეცნობიერად ურთიერთობაში მუდამ პრობლემებს ეძებს, ან სულაც თავადვე ქმნის მათ. ის ცდილობს, საყვარელი ქალი სრულებით დაიქვემდებაროს, მასზე დამოკიდებული გახადოს. ასეთი მამაკაცი იმის გამო კი არ განიცდის და ეჭვიანობს, რომ საყვარელი ადამიანის დაკარგვის ეშინია, არამედ არ სურს საკუთარი ძალაუფლების გავლენისაგან ქალის გათავისუფლება. მამაკაცები, რომლებიც ასეთი მანიაკალური სიყვარულისკენ არიან მიდრეკილნი, ერიდებიან ქალთან ძლიერ მიჩვევას და გაურბიან დამოკიდებულებას ვინმესგან ან რაიმესგან, არ ჰყავთ ახლო მეგობრები, ხშირად იცვლიან სამსახურს, საცხოვრებელ ადგილს, ქორწინებაშიც როგორც წესი, არაერთხელ ყოფილან.

პრაგმა – ანგარიშიანი სიყვარული

✦ ეს პრაგმატული, ანგარიშიანი გრძნობა გონებით გაზომილი სიყვარულია. ასეთი მამაკაცის პრინციპია, ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი. მას გამოსადეგი ქალი ესაჭიროება, რომელსაც კარგად შეუძლია საოჯახო მეურნეობის გაძღოლა, მშვიდი და სათნო ხასიათი აქვს. იგი ისეთ ქალს ირჩევს, რომელსაც მისთვის ყოველმხრივ კომფორტული ცხოვრების უზრუნველყოფა შეუძლია. ასეთ მამაკაცს არ შეუძლია ერთი ნახვით შეყვარება, არ აინტერესებს ინტიმური ურთიერთობიდან მიღებული გამორჩეული შთაბეჭდილებანი. ამ მამაკაცთან თანაცხოვრებისას დიდი ვნებებისა და მოულოდნელობების იმედი ნუ გექნებათ, უფრო მეტიც, არ დაგტოვებთ განცდა, რომ თქვენ ისევ აგირჩიეს – გარკვეული პარამეტრებისა და მონაცემების მიხედვით, როგორც ხარისხიანი ნივთი მაღაზიაში. ვიდრე მეუღლის დაწესებულ სტანდარტებს შეესაბამებით, მშვიდი და სტაბილური ცხოვრება გარანტირებული გაქვთ, მაგრამ გახსოვდეთ, დაიწყებთ თუ არა ურჩობას, განხეთქილება გარდაუვალია.

თავგანწირული სიყვარული – აღაპე

ბერძნულ ენაში "აღაპე" დღემდე სიყვარულს ნიშნავს. ამგვარი გრძნობით შეპყრობილი მამაკაცი მზად არის ნებისმიერი მსხვერპლი გაიღოს იმისათვის, რომ საყვარელი ადამიანი ბედნიერად ჰყავდეს. მისთვის ქალის ინტერესები და პრობლემები საკუთარზე უფრო მნიშვნელოვანია. მისი გრძნობა უანგაროა. ასეთი მამაკაცი ნდობას აღგიძრავთ და თქვენს პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი მუდმივი ყურადღება და მზადყოფნა, ყოველთვის შეასრულოს თქვენი კაპრიზი, შესაძლოა მოსაწყენიც გახდეს. შეყვარებულ ქალს ხომ მხოლოდ მიღება კი არა, გრძნობების და სითბოს გაცემაც სურს. ასეთ მამაკაცს კი თქვენგან არაფერი უნდა იმის გარდა, რომ თაყვანისცემის ნება დართოთ. მისი გამუდმებული ზრუნვა და მცდელობები, თქვენი აზრებიც კი აკონტროლოს, "მამობრივი სიყვარულის" განცდას უფრო



გიტოვებთ, ვიდრე პარტნიორული ურთიერთობებისას, რაც ბევრი ქალისათვის მომაბეზრებელია.

სიყვარული-თამაში – ლუდუსი

✦ ამგვარი სიყვარული პირველ რიგში სექსუალურ ლტოლვაზეა დამყარებული. თუ ასეთი პარტნიორი შეგვხდათ, დაივიწყეთ სიმშვიდე: თქვენი რჩეულისათვის სიყვარული სექსია. მას თქვენგან მხოლოდ სექსი უნდა. ამიტომ თქვენი გრძნობები, აზრები, განცდები არ აინტერესებს, ასევე არ აინტერესებთ თქვენ, როგორც პიროვნება. გამორიცხული არ არის, რომ თქვენს გარდა მას კიდევ არაერთი რჩეული ჰყავს, რომელთანაც რეგულარულად ურთიერთობს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ემოციების ტყვეობაში ხართ, ადრე თუ გვიან (რასაკვირველია, სჯობს ადრე) მიხვდებით რომ არაფერი გაქვთ საერთო და მასთან არაფერი გაკავშირებთ საწოლის გარდა. ეგოისტი მამაკაცი საწოლშიც მხოლოდ თავის სიამოვნებაზე ფიქრობს. მისი გრძნობები მალე გაცივდება, თუ რაიმე ნიშნით აღარ დააკმაყოფილებთ მის ლტოლვას. თუ თქვენ ხანმოკლე, სასიამოვნო თავგადასავალი გხიბლავთ, ასეთი მამაკაცი შესაძლოა კარგი ვარიანტიც იყოს. რაც შეეხება ოჯახურ ცხოვრებას, უპასუხისმგებლო ქმარი, რომელსაც ღრმა გრძნობები არ გააჩნია და ერთგულება არ შეუძლია, ნაკლებად გამოგადგებათ.

მეგობრული სიყვარული – სტროგე

✦ ურთიერთგაგებასა და მეგობრობაზე დამყარებულ სიყვარულს ქალსა და მამაკაცს შორის არისტოტელე სტროგეს უწოდებს. მამაკაცი, რომელიც მხოლოდ ასეთ სიყვარულს ემხრობა, ღია და გულწრფელია. მას თქვენგან საიდუმლო არა აქვს. თქვენც გიჩნდებათ სურვილი, გაუზიაროთ მას ყველა სიხარული და დარდი. ასეთი მამაკაცი ყოველთვის დაგეხმარებათ, მხარს დაგიჭერთ, მაგრამ ფრთხილად იყავით, მეტისმეტი უშუალობა და ღიაობა იქამდე მიგიყვანთ, რომ თქვენი ურთიერთობა იდუმალების ხიბლს დაკარგავს და ბევრჯერ წაკითხულ და ინტერესდაკარგულ წიგნად იქცევა. ამგვარი ურთიერთობიდან ძლიერ ვნებებსაც ნუ ელით. თუ მოახერხებთ და პირად სივრცეს, ინტერესსა და გატაცებას შეინარჩუნებთ, თან გულწრფელობაშიც ღრმად არ შეტოპავთ, ერთმანეთი არასდროს მოგბეზრდებათ.

ემოციური სიყვარული – ეროსი

✦ გრძნობიერ სიყვარულს, რომელიც პირველ რიგში უსაზღვრო ერთგულებასა და ფიზიკურ ლტოლვაზეა დამყარებული, არისტოტელემ ეროსი უწოდა. მამაკაცს, რომელიც ამგვარ სიყვარულს განიცდის, უპირველესად თქვენი გრძნობები, ემოციები, ცხოვრება, პრობლემები აინტერესებს და შემდეგ ფიქრობს საკუთარზე. ასეთ მამაკაცს თქვენი საშუალებით თვითდამკვიდრება არ სურს, არ დაიწყებს თქვენი მდგომარეობისა და სიყვარულის ბოროტად გამოყენებას. იგი სიამოვნებით იზრუნებს თქვენზეც და ოჯახზეც. ეროსი ნამდვილი სიყვარულია, რომელზეც ყველა

მანამ სანამ მამათა თაობა არკვევს რა საჭიროა ვალენტინობის აღნიშვნა, ახალგაზრდები ელოდებიან, ემზადებიან და სნორედაც დიდი სიყვარულით აღნიშნავენ ყველა შეყვარებულის დღეს... ალბათ, ამ დღესასწაულს, ისე როგორც არცერთ სხვას, უხდება კიდეც სიყვარულზე ფიქრი და მსჯელობა – ვის უფრო მეტად უყვარს ქალს თუ მამაკაცს? რა განსხვავებაა ქალურ და მამაკაცურ სიყვარულს შორის, ან არის კი საერთოდ განსხვავება?

როგორც აღმოჩნდა, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე სიყვარულის ანატომიის ამოცნობის სურვილით მამაკაცის გრძნობათა ცვალებადი ბუნებით ანტიკური ხანის უდიდესი მოაზროვნე არისტოტელეც დაინტერესებულა. ბრძენმა ბერძენმა ფილოსოფოსმა სულ ექვსი განსხვავებული სახის სიყვარული აღნერა. თუ არისტოტელეს მონათხრობს დავეყრდნობით და ჩვენს მიმართ კონკრეტული მამაკაცის გრძნობას გავაანალიზებთ, ძნელი აღარ იქნება იმის წინასწარმეტყველება, თუ რას მოგვიტანს სულ ახლახან დაწყებული თავბრუდამხვევი ფლირტის შემდგომი განვითარება.

ქალი ოცნებობსო, ამბობს არისტოტელე.

✦ დარწმუნებული ვართ ქალბატონები კითხულობენ და ფიქრობენ, რატომ მხოლოდ მამაკაცური, ნუთუ ქალის სიყვარულიც იგივე გრადაციებს არ ემორჩილება? განა არ გინახავთ სიყვარულის მონა /პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით/ ქალი?

აბა, რატომ მოათავსა სიყვარულის ტიპოლოგიაში არისტოტელემ მხოლოდ მამაკაცური საწყისი? ალბათ იმიტომ, რომ იმ დროს, მიუხედავად შედარებით დემოკრატიული ურთიერთობებისა, ქალი მაინც მამაკაცზე უმნიშვნელო არსებად მიაჩნდათ.

ემანსიპაციამ ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად სიყვარულის მრავალგვარობაში თანასწორობაც მოუტანა ქალებს. საუკუნეები დასჭირდა სამყაროს, იმაში დასარწმუნებლად, რომ ქალსაც და მამაკაცსაც ერთნაირი ვნებები გვებრძვიან და ერთნაირი ანგელოზები გვიფარავენ სიყვარულში. განსხვავება ნიუანსებშია.

თქვენ როგორ ფიქრობთ?

გამოგვეხმაურეთ, გაგვანდეთ თქვენი აზრი სამყაროს მარადიულ კითხვებზე: - რა არის სიყვარული?

როგორ მიხვდე რომ ნამდვილად გიყვარს?

როგორ იპოვო შენი ნამდვილი მეორე ნახევარი?

პათოლოგიური და დამღლელი ერთად ყოფნის სიხარული

* დასასრული.

ძნელია გაარჩიო, ეს უჩვეულო ფსიქოთერაპია ბოლომდე გულწრფელია, თუ ტრადიციული როლით გატაცებაა, მაგრამ ძალიან სასიამოვნო და მომნუსხველი კია. აქ ღვინო არ არის ისეთი მათრობელა, როგორც აღმოსავლეთში, ამიტომ ღვინის დაძალება, მოწოდება ჭიქის ბოლომდე დაცლის შესახებ, ჩვეულებრივი ამბავია. დასავლურ ღვინოებს უფრო ცხარე და ნიგვზით შეკმაზული საჭმელი უხდება. ეს კერძები აქაურთა ტემპერამენტიან ხასიათს ჰგავს. თუ არ ჩავთვლით ზანტ და დარბაისელ რაჭველებს, რომელთა უნიკალურ ხვანჭკარას, ყველაზე უკეთ, რაჭულად შებოლილ, უგემრიელეს ლორთან ერთად დაიგემოვნებ. კერძების განსაკუთრებული შერჩევა, სიმრავლე და გასტრონომიული ხარისხი დიასახლისის ოსტატობის მაჩვენებელიცაა და ოჯახის მამაკაცების თავმოწონების საგანიც.

ბევრ სმას მთელ საქართველოში ვაჟკაცობასთან აიგივებენ. კაცი თუ სმის დროს თავდაჭერილობას კარგავს, თრობით მოგვრილი გახსნილობისა და ლაღობის გარდა, თუ ჭკუასუსტობას, ახირებულობას ან აგრესიას ამჟღავნებს, იგი საყოველთაო ანტიპათიას იმსახურებს. თამადასაც არა მხოლოდ მისი სიქველის გამო ირჩევენ, არამედ ღვინის სმისას გამოვლენილი გამძლეობის ნიშნითაც, რადგან იგი ზედამხედველობისა და კონტროლის ფუნქციასაც ითავსებას. მას ხომ მომლხენი საზოგადოება უპირობოდ უნდა ემორჩილებოდეს. თამადას სუფრიდან უზრდელი ადამიანის გაძევებაც შეუძლია. როცა ნადიმის რომელიმე მონაწილე რაიმე მიზეზით იქაურობას ტოვებს, მან ნებართვა აუცილებლად თამადისაგან უნდა აიღოს. ქართული სუფრა ძალიან ჰგავს დაუმორჩილებელ, ინდივიდუალისტურ საზოგადოებაზე ძალაუფლების გავრცელების ნებაყოფლობით ინსტიტუტს, მმართველობით სისტემას. მასში ჩანს ერთობლივი კეთილი ნება, რომ ადამიანებმა გართობა, ლხინი წესრიგს დაუქვემდებარონ. ამიტომ, თამადის დათრობა სამარცხვინო და უკადრის საქციელად ითვლება. ასეთი კონტექსტისათვის შესანიშნავი ქართული სიმღერაც არსებობს, რომელსაც "ეს თამადა ჩანჩალა" ჰქვია.

* დასასრული. დასაწყისი იხ. "ახალი განთიადი" №2

საერთოდ, ქართული სუფრის "კონსტრუქცია" ძალზე უცნაური და ხშირად გაუგებარია უცხოელ სტუმართათვის. განუზომელი სიუხვე, მშრალი საუზმეულით სრულიად დაფარული მაგიდა, სხვადასხვა სახეობის "ჩამოტარებული" ცხელი კერძები ზოგჯერ გაკვირვებას იწვევს, ზოგჯერ — აღფრთოვანებას. ერთი კია, რომ აქ არის მრავალფეროვანი და საუცხოო საჭმელი ნებისმიერი გემოვნებისა და მოთხოვნილების მქონე ადამიანისათვის.

ნადიმის დროს ვლინდება ქართველთათვის და ყველა ტრადიციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი, ასევე სუსტი სქესისადმი არნახული პატივისცემა. ასაკით უფროსი ადამიანი სუფრაზე გამორჩეულად პრივილეგირებულია, ხოლო, რაც შეეხება ქალს, მას მამაკაცები ემსახურებიან, კერძებს აწვდიან, თავს აწონებენ და ისეთ სადღეგრძელოებს ეუბნებიან, შესაძლოა თავი ზღაპრის უმშვენიერეს პერსონაჟად წარმოადგენინონ. დიასახლისი კი, რომლის ხვედრი გამწვანებამდე სამზარეულოში ტრიალია, მაინც სუფრის უგვირგვინო დედოფალია.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ ქართველთა ქეიფის ის ფორმა, რომელიც დღესაც მოქმედია, მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა (თუმცა ქართველები ანტიკურ ხანაშიც ნადიმობდნენ და თავიანთ "ოქროს ხანაშიც.") და მისი ამ სახით დამკვიდრება განაპირობა სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ, არისტოკრატიული საზოგადოებისათვის ეგზომ დამთრგუნველმა უფუნქციობამ, უმოქმედობამ, საერთო აპათიისაგან თავის დაღწევის სურვილმა. ასეთი ხანგრძლივი თავყრილობები და ჭარბი ღვინის სმა პიროვნული თვითრეალიზაციის ასპარეზად იქცა. სადღეგრძელო კი განუხორციელებელი სურვილების ახდენისაკენ ამ ადამიანთა მეტაფიზიკურ სწრაფვას ჰგავს.

ძნელია, იწინასწარმეტყველო, შეინახავს თუ არა ნიჰილიზმისა და სკეფსისის XIX საუკუნე ქართული სუფრის ფენომენს, რადგან იგი უკვე კარგავს თანამედროვეთათვის არასაჭირო ატრიბუტიკას...

ასეა თუ ისე, ჯერჯერობით სუფრა ისევ მოყვასისადმი სიყვარულის გამოვლენის ადგილია. "ამა სოფლის ამაოებისაგან" დაღლილი ადამიანები დეპრესიისგან თავის დასაცავად ერთმანეთთან გარბიან სტუმრად; ჭიქების წკრიალის ფონზე იფანტება ეჭვები, ქრება სიძულვილი, იხსნება კომპლექსები, იწყება სვლა მიუღწეველი მიზნისაკენ და ერთგვარი შეჯიბრი, როგორც თამაშში, რადგან ქართული სუფრა დიდების მოგონილი პარადოქსული თამაშია.

მარინა ყიფშიძე.

ქართულ-ხალხურ დღეობათა ზამთრის ციკლი

* დასასრული. დასაწყისი 4გვ.

ბის შემომტანს, მთავრდებოდა საახალწლო დღეობების ციკლი, რომლებიც მყარ თარიღებთან არიან დაკავშირებულნი. ღონისძიება დეკლამაციით გაალამაზეს ა(ა)იპ კასპის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში შემავალი მოსწავლე – ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეებმა /პედაგოგი ნანა მერებაშვილი/ - სალომე კორხელმა, ანი კაპანაძემ, მარი აბულაძემ, ლიკა გამხიტაშვილმა, მარი ბეჟიტაშვილმა. მოსწავლეებმა წაიკითხეს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები: "რა გითხრათ, რით გაგახაროთ?" "შობა მაცხოვარისა," "საახალწლო." ღონისძიების დასასრულს წარმოდგენილი თემების ირგვლივ გაიმართა საინტერესო საუბარი.

ლია მენაბდიშვილი,
ა(ა)იპ კასპის ბიბლიოთეკის
ღონისძიებათა ორგანიზატორი.



მე მოვალ
შენთან გუშინ ან
შარშან,
შენ მოხვალ
ჩემთან ხვალ ან
გაისად,
როცა კვირტები
დაიწყებს
გაშლას,
როცა ხეხილი
ნაყოფს
დაისხამს;
როცა მე და შენ
იმდენად
დაგვღლის
ამქვეყნად ჩვენი
როლის თამაში,
რომ მე დაგითქ-
ვამ შეხვედრის
ადგილს
სადმე წარსულში
ან მომავალში...

მიხეილ ქვლივიძე.

2013 წელს კასპში დაიბადა

შ.პ.ს. "მედალფა" (კასპის სამედიცინო ცენტრი)

* დასასრული

გიორგი მახარაძე (ნიაბი),
სარა კუნდუხაშვილი (კასპი),
ანი ნონიაშვილი (კასპი),
დემეტრე ბუდაღაშვილი (ახალქალაქი),
დაჩი კობური (კასპი),
ელენე ქოზაშვილი (ხოვლე),
ბარბარე დემეტრაძე (თბილისი),
გიორგი ფეიქრიშვილი (ძეგვი),
ნიკოლოზ მამულაშვილი (მეტეხი),
ნიკოლოზ ჯინიყაშვილი (ახალქალაქი),
მარინა რაფიკოღლი (ჩანგილარი),
გაბრიელ გელაშვილი (ახალციხე),
თათია ხრიკული (ოკამი),
თეკლა ბარნოვი (ახალციხე),
ნია მორბედაძე (კასპი),
ანა სუხაშვილი (წინარეხი),
ლიზი ბერიძე (დედოფლისწყარო),
ელენე კოხრეიძე (ხონი),
ანანო ბერია (მარტვილი),
ლუკა ხოხაშვილი (კასპი),
გუჯა ლაბარი (დოესი),
ანასტასია გეჯაძე (მეტეხი),
კობა თაბუაშვილი (თბილისი),
ქეთევან მენაბდიშვილი (კასპი),
ნიცა გელიაშვილი (კასპი),
ლუკა ქართველიშვილი (მრგვალიჭალა),
იური კაციაშვილი (კასპი),
მარიამ კომერაშვილი (კასპი),
მარი ბუჯიაშვილი (გორი, მეჯვრისხევი),
ანიტა ახლოური (სენაკი),
ანასტასია შალუტაშვილი (კასპი),
თამთა ბახტაძე (სადგური მეტეხი),
ანასტასია ოდიშვილი (კასპი),
გიორგი გზირიშვილი (კასპი),
დეა იორდანაშვილი (ლამისყანა),
ნიკოლოზ საბიაშვილი (კასპი),
რობერტ თევზაძე (კასპი),
გიორგი გულიაშვილი (სასირეთი),
ოთარ მიქუტიშვილი (ხოვლე),
თამარ ბეჟიტაშვილი (კასპი),
სალომე გორგაძე (ზემო ხანდაკი),
თამარ მეშველაშვილი (კასპი),
გიორგი ხრიკული (ქვემო ჭალა),
თამარ იმეშაშვილი (მეტეხი),
ვანიკო შაშიაშვილი (გარიყულა),
ნამიკ მუსაევი (სადგური კავთისხევი),
სანდრო ბატკუაშვილი (თეძმისხევი),
მარიამ ჯუბათაშვილი (დოესი),
სოფიო ქარქიშვილი (კასპი),
თამარ მარღიშვილი (ზემო ხანდაკი),
თამარ ტატუაშვილი (კასპი),
ქრისტინე ქეთიშვილი (კასპი),
ბარბარე გულიტაშვილი (საჩხერე),
ელენე ზაქარაშვილი (სადგური მეტეხი),
ბარბარე ზანგური (აღაიანი),
ბარბარე ბალხამიშვილი (ახალქალაქი),
დაჩი გიგაური (კასპი),
ნატალი გეჯაძე (მეტეხი),
დავით ტყეშელაშვილი (ქუთაისი),
გიორგი ბაკიძე (გორი),
მათე ხოხაშვილი (რენე),
ნიკოლოზ მერებაშვილი (კასპი),
გიორგი ქარქუსაშვილი (ერთაწმინდა),
ნინო ბართია (თბილისი),
ნიკოლოზ კაპანაძე (კასპი),
ნინო ბეგლარაშვილი (ერთაწმინდა),
დათო თვალიაშვილი (მეტეხი),
მათე სააკაშვილი (თეძმისხევი),
ნატა ჩაფიძე (ქვემო გომი),
ნიკოლოზ ვარძიაშვილი (ოკამი),
ანა ბერაშვილი (მეტეხი),
ანასტასია ქენქაძე (კასპი),
ალინა გელიშვილი (ოკამი),
ლიზი ახვლედიანი (წინარეხი),
რუსუდან ქუტაშვილი (კასპი).

1959 წლის ივლისში დაიწყო მეოცე საუკუნის ყველაზე ცნობილი სიყვარულის რომანტიკული ისტორია. მილიარდერი მაგნატის არისტოტელე ონასისისა და ოპერის მომღერლის მარია კალასის ლეგენდარული სიყვარული გამორჩეულია თავისი სიმძაფრითა და ტრაგიკულობით. ჭეშმარიტი სიყვარული ღალატის ნიშნით დაღდასმულიც კი ინარჩუნებს თავის დიდებულებას. ცნობილმა მომღერალმა მარია კალასმა ეს ყველაზე უკეთ იცოდა. 36 წლის მარია კალასს ამ პერიოდისათვის უკვე დიდი წარმატება ჰქონდა მოპოვებული, როგორც საოპერო მომღერალს. ის იყო ძალიან მდიდარი, მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული, მის ნიჭს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა,

მაგრამ მარიას ცხოვრებაში არ ჩანდა დიდი სიყვარული, ვიდრე იგი არისტოტელე ონასისს არ შეხვდა.

გემთმფლობელს, მეორე მსოფლიო ომის დროს გამდიდრებულ მილიარდერსა და ლოველასს, არისტოტელე ონასისს მარია კალასთან ბევრი ჰქონდა საერთო. ორივე მდიდარი და ცნობილი იყო, ორივე ბერძნული წარმოშობის (მარია ნიუ-იორკში დაიბადა ბერძენი ემიგრანტების ოჯახში, ონასისი კი თურქეთში), მაგრამ სასიყვარულო ურთიერთობაში მათი მიზნები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მარია ნამდვილ სიყვარულს ეძებდა, არისტოტელე ონასისი კი სასიყვარულო თავგადასავალს, რომელიც მის პატივმოყვარეობას დააკმაყოფილებდა. მარიას პირველი შეხვედრისთანავე თავდავიწყებით შეუყვარდა ლაღი და გულუხვი, თუმც არცთუ სიმპათიური მილიარდერი. ცხოვრებაში პირველად კალასი შეხვდა მამაკაცს, რომელიც მონური თაყვანისცემით კი არ შესცქეროდა ცნობილ მომღერალს, არამედ ექცეოდა როგორც ტოლი ტოლს. არისტოტელე საოპერო ხელოვნებაში ცუდად ერკვეოდა, მაგრამ მის პატივმოყვარეობას ესალბუნებოდა მსოფლიო ვარსკვლავისა და უბრალოდ მომხიბვლელი ქალის სატრფოდ ყოფნა. ამას გარდა, მარიამ იგი სამეფო და დიდებულთა საზოგადოებაში შეიყვანა, რომელსაც კარგად იცნობდა და ვისთვისაც ხშირად მართავდა კონცერტებს. ერთხელ ონასისმა მდიდრულ ოტელში საყვარელი ქალის პატივსაცემად წვეულება მოაწყო, სადაც იატაკი მთლიანად ვარდის ფურცლებით მოფინეს. ფუფუნებით იყო აღბეჭდილი მარია კალასის კონცერტები მთელ მსოფლიოში, რომელსაც მას ონასისი უფინანსებდა.

ზღაპრულმა სიყვარულმა დიდხანს არ გასტანა. ვნებიანი სიყვარულის დასაწყისში ონასისი დაჰპირდა მარიას, რომ ცოლს გასცილდებოდა და ბრწყინვალე ქორწილს გადაიხდიდნენ. ქალიც მოთმინებით ელოდა ამ დღეს, მაგრამ მალე არისტოტელე გულგრილი გახდა სატრფოს გრძნობების მიმართ. ეუხეშებოდა მას და შეურაცხყოფას აყენებდა. მარია კალასმა ნერვიული დაძაბულობის გამო ხმაც კი დაკარგა, მაგრამ ონასისს იგი სულაც არ შებრალებია. 43 წლის ასაკში მარია კალასი დაორსულდა. არისტოტელემ ქალს აბორტის გაკეთება მოსთხოვა. კალასს ისე ეშინოდა საყვარელი მამაკაცის დაკარგვისა, რომ დაემორჩილა მის სურვილს...

ყველაზე დიდი დარტყმა მარია კალასისათვის არისტოტელე ონასისისა და ჟაკლინ კენედის მოულოდნელი, ნაჩქარევი ქორწინება იყო. ის, რასაც კალასი წლობით ელოდა, ჟაკლინისათვის იოლი და სწრაფად განსახორციელებელი აღმოჩნდა. ამით მარია კალასის ბედნიერებაც და საოპერო კარიერაც დასრულდა. კენედის ქვრივთან ქორწინებამ ბედნიერი არც ონასისი გახადა. ჟაკლინი მის მიმართ ბოლომდე გულგრილი დარჩა, სამაგიეროდ ონასისის მილიარდების "წველაში" გამოიჩინა დიდი ოსტატობა. დროდადრო გულგატეხილი ონასისი უბრუნდებოდა მარიას, ჰპირდებოდა რომ გასცილდებოდა ჟაკლინს და მას მოიყვანდა ცო-

ლად. მათ ურთიერთობას წერტილი არისტოტელეს სიკვდილმა დაუსვა. მარია კალასმა ამის შემდეგ სულ ორი წელი იცოცხლა. თავის ანდერძში კი დაიბარა, მისი ფერფლი ეგეოსის ზღვაზე გაეფანტათ. სწორედ ამ ზღვაში განისვენებს მისი დიდი სიყვარული არისტოტელე ონასისი.

თუ სიყვარულის მრავალგვარობის არისტოტელესეულ ფორმულას დავეყრდნობით, ონასისის უცნაური დამოკიდებულების ანალიზიც არ გაგვიჭირდება, იქნებ ის თავადაც იცნობდა დიდი სეხნიის ნაშრომს, მაგრამ ანალიზი უძლურია იქ, სადაც ვნებები ბობოქრობენ.

"სიყვარული არ იქნება ძალადა"

არცთუ დიდი ხნის წინათ გაზეთმა "დეილი ტელეგრაფმა" ილინოისის უნივერსიტეტის (ჩიკაგო) მიერ ჩატარებული კვლევები გამოაქვეყნა, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ჯანმრთელობისთვის გაცილებით სასარგებლოა მარტო ძილი, ვიდრე სხვასთან ერთად წოლა.

პუბლიკაციის გამოქვეყნებისთანავე ერთ-ერთ ჟურნალში ჰიგიენის პროპაგანდის ლონდონის ინსტიტუტის დირექტორის კეიტ ველინიგის სტატია დაიბეჭდა, სადაც იგი, მართალია, ეჭვქვეშ არ აყენებს "მარტო ძილის" სასარგებლო შედეგებს, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან სერიოზულად ამტკიცებს, რომ სქესობრივი აქტი შაკიკის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მისი აზრით, "სქესობრივ აქტთან დაკავშირებული სიამოვნება მნიშვნელოვანწილად ამცირებს სტრესს და მის ზემოქმედებას გულზე, სისხლის მიმოქცევაზე, სისხლძარღვებსა და იმუნურ სისტემაზე. ეფექტი, ანალგინის ძლიერი დოზის მსგავსი ეიფორული მდგომარეობაა, რომელშიც წყვილი ვნებათაღელვის მომენტში იმყოფება, ინტიმურ სიახლოვეს თავისტკივილის საწინააღმდეგო საუკეთესო წამლად აქცევს!"

"მოკლედ, თავის ტკივილის მიზეზებისა და ცოლ-ქმრული მოვალეობებისთვის თავის არიდების ნაცვლად, უმჯობესია, საქმეს მიხედოთ, ამ შემთხვევაში თავი ნამდვილად აღარ აგტკივდებათ", – გვმოძღვრავს მეცნიერი.

ცხადია, იკითხავთ, მაინც რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამ ურთიერთსაწინააღმდეგო მეცნიერული მსჯელობებიდან ჩვენ, უბრალო მოკვდავებმა? სამუდამოდ გავემიჯნოთ მეუღლეებს და ცალ-ცალკე ოთახებში ვიძინოთ, თუ პირიქით, როგორც კი შევამჩნევთ, რომ თავის ტკივილი გვეწყება...

ამასთან დაკავშირებით ინგლისელი მეცნიერები არაფერს ამბობენ. მათ მხოლოდ მაგალითები მოჰყავთ. მაგალითად, ილინოისის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კვლევაში 46 წყვილი იღებდა მონაწილეობას, რომელთა ასაკიც 25-დან 67 წლამდე მერყეობდა. მათ საწოლებთან ელექტრონული აპარატურა დაამონტაჟეს, რომელიც ძილის დროს ადამიანის ყველა მოძრაობას აფიქსირებდა. როგორც გამოირკვა, უმეტეს შემთხვევაში, ერთ-ერთი მეუღლის ნებისმიერი მოძრაობა, სულ რაღაც ოცდაათი წამის შემდეგ მეორე მეუღლის მოძრაობას იწვევს. მსგავსი რამ ღამეში დაახლოებით 30-60-ჯერ მეორდება.

გარკვეული დროის შემდეგ მეუღლეები ერთმანეთს დააშორეს და დასაძინებლად ცალ-ცალკე ოთახები გამოუყვეს. აღმოჩნდა, რომ ასეთ ვითარებაში მათ უფრო სწრაფად და ღრმა ძილით დაიძინეს. დილით კი თავს გაცილებით კარგად გრძნობდნენ. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ერთად ძილის დროს პრობლემები ჯერ კიდევ დაწოლამდე იჩენს თავს: ღია უნდა იყოს თუ არა ფანჯარა საძინებელ ოთახში, ძილის წინ შეიძლება თუ არა კითხვა, თუ მაშინვე უნდა ჩაქრეს სინათლე, რომელი საათისათვის უნდა დარეკოს მაღვიძარამ – შვიდზე თუ რვის თხუთმეტ წუთზე და ასე შემდეგ. თურმე მეუღლეები დაახლოებით ათჯერ "ართმევენ" ერთმანეთს საბანს. დაახლოებით ამდენჯერვე იღებენ მეორე ნახევრის მუჯლუგუნებს ის ქმრები, რომლებიც ვერაფრით გადაეჩვივნენ ხვრინვას და, საერთოდ, მამაკაცებს ძილში ნამდვილად არ სწყალობთ ბედი – მათ 2-3 ჯერ უფრო მოუსვენრად სძინავთ, ვიდრე ქალებს.

თუმცა, ყოველივე ამის მიუხედავად, მეცნიერები მაინც აღიარებენ, რომ, რაც უფრო დიდი ხნის მეუღლეები არიან წყვილები, მით უფრო უკეთ ეჩვევიან ერთიმეორის გვერდით ძილს; ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ისეთ წვრილმანებს, როგორებიცაა: შუა ძილში შემთხვევით ფერდში დარტყმული მუშტი, კივილი კოშმარული სიზმრის დროს, საშინელი ხვრინვა და ასე შემდეგ.

არჩევანი თქვენ!

გილოცავთ!



იმისა და შრომის ვეფერნს შალვა გიჩიფაშვილს გულითადად ვულოცავთ დაბადებიდან 90 წლის იუბილეს.

ბატონო შალვა, თქვენს მიერ ღირსეულად განვლილი ცხოვრების გზა სამაგალითო და სასამაყოა. გისურვებთ ყოველ დილხანს და ჯანმრთელ სიცოცხლეს თქვენს დიდ ოჯახთან ერთად.

ჯასპის მუნიციპალიფეტის საკრებულო.

პატრიარქის ნათლულები

თათია წამალაშვილი, დაიბადა 2010 წლის 11 დეკემბერს, დედა ლია, მამა გიორგი წამალაშვილები.

მადლობა

ქალაქ კასპში კოსტავას ქუჩა № 69-ში მცხოვრებნი მადლობას მოვახსენებთ წყალკანალის მომსახურე პერსონალს ყინვების განმავლობაში დაზიანებების სწრაფად და ხარისხიანად აღმოფხვრისათვის.

უღრმესი მადლობა თანადგომისა და გულისხმიერებისათვის.

გამოგვიგზავნეთ!

„ახალი განთიადი,, იძიებს ცვიფფერიფცი ცოფრთიებს ცვგვზეთი ფოტო-მატიანის შეცვეფილია. თხოვნით მიგმართავთ თანფრთანიფელებს - ფოტოვეთ თქვენი ყვავილი ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ ცვიფფერიცი ფა ცვხალიცი ფოტოები!



„ახალი განთიადი" გილოცავთ სიყვარულის დღეს!

მუდმივი საყურადღებოდ!

თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომწერი გახდეთ, მოგრძანდით რედაქციაში! რედაქცია უზრუნველყოფს გაზეთის მიტანას ხელმომწერთან.

„ახალი განთიადი,, ამ თვეში ერთხელ გამოიცა – „პირველად,, დაბეჭდავს ქრონიკები ახალგაზრდების საინტერესო ნაკაკვლევებს. (სანდა ნაბეჭდი ნაკაკლევი ელექტრონული ვერსია.)

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოგანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერეებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68

ტელეფონი 22-25-76